საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი
საქპატენტი
SAKPATENTI
NATIONAL INTELLECTUAL PROPERTY CENTER OF GEORGIA

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი – „საქპატენტი“

წლიური ანგარიში

2023

სარჩევი

უწყების შესახებ 3

ინტელექტუალური საკუთრების ობიექტები 4

- გამოგონება და სასარგებლო მოდელი 4
- ახალი ჯიშები 5
- სასაქონლო ნიშნები, დიზაინი, დეპონირება, საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებები და გეოგრაფიული აღნიშვნები 6

სამართალწარმოება და კანონშემოქმედებითი საქმიანობა 7

მომხმარებელზე ორიენტირებული მომსახურება 9

საერთაშორისო თანამშრომლობა 10

ადამიანური რესურსების განვითარება და გენდერული თანასწორობა 12

ინტელექტუალური საკუთრების სწავლებისა და გადამზადების ცენტრი 14

- საგანმანათლებლო საქმიანობა 14
- საგამომცემლო და პოლიგრაფიული საქმიანობა 15

ფინანსური მაჩვენებლები 17

საზოგადოებასთან ურთიერთობა 18

უწყების შესახებ

სსიპ – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი – „საქპატენტი“ ინტელექტუალური საკუთრების სფეროში პოლიტიკის განმსაზღვრელი, დამოუკიდებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირია, რომელიც ანგარიშვალდებულია საქართველოს პრემიერ-მინისტრის წინაშე. საქპატენტის ფუნდამენტური ფუნქციაა როგორც ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების, კერძოდ, სამრეწველო საკუთრების (გამოგონება, სასარგებლო მოდელი, დიზაინი, მცენარეთა ახალი ჯიში, ცხოველთა ახალი ჯიში, სასაქონლო ნიშანი, ადგილწარმოშობის დასახელება, გეოგრაფიული აღნიშვნა, ინტეგრალური მიკროსქემის ტოპოლოგია) სამართლებრივი დაცვა რეგისტრაციის გზით, ისე საავტორო და მომიჯნავე უფლების ობიექტების (მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებები) დეპონირება. საქპატენტი ასევე ხელს უწყობს ინოვაციების ეკოსისტემისა და კრეატიული ინდუსტრიების განვითარებას საგანმანათლებლო პროგრამების, საზოგადოების ცნობიერების ამაღლებისა და ინტელექტუალური საკუთრების სერვისებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფით.

აღნიშნული ამოცანების ეფექტიანი შესრულება ხელს უწყობს საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების სფეროს განვითარებასა და მჭიდრო ინტეგრაციას საერთაშორისო სისტემასთან, რაც საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გაზიარებისა და შედეგზე ორიენტირებული აღსრულების მექანიზმების ჩამოყალიბების გარანტიაა.

ორგანიზაციული სტრუქტურა იხ.: https://www.sakpatenti.gov.ge/ka/page/201/

ინტელექტუალური საკუთრების ობიექტები

გამოგონება და სასარგებლო მოდელი

საქპატენტის გამოგონებისა და ახალი ჯიშების დეპარტამენტი უზრუნველყოფს გამოგონებისა და სასარგებლო მოდელის განაცხადების კანონმდებლობით დადგენილი წესით განხილვას, რეესტრის წარმოებასა და შესაბამისი დოკუმენტების გაცემას.

2023 წელს საქართველოს საპატენტო კანონში განხორციელდა მნიშვნელოვანი ცვლილებები. ცვლილებების შედეგად, საქართველოს საპატენტო კანონი შესაბამისობაში მოვიდა ევროპის საპატენტო კონვენციასთან (EPC), საპატენტო სამართლის შესახებ საერთაშორისო შეთანხმებასთან (PLT) და ევროკავშირის ქვეყნების კანონმდებლობასთან. ამასთან, საპატენტო კანონში აისახა საქართველოს მთავრობასა და ევროპის საპატენტო ორგანიზაციას შორის ევროპული პატენტების ვალიდაციის შესახებ შეთანხმებით (შემდგომ – ვალიდაციის შეთანხმება) გათვალისწინებული დებულებები, რაც მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო ვალიდაციის შეთანხმების იმპლემენტაციისთვის.

საპატენტო კანონში განხორციელებული ცვლილებები შეეხო გამოგონებისა და სასარგებლო მოდელის დაცვის სხვადასხვა ასპექტს, მათ შორის, შეიცვალა არსობრივი ექსპერტიზის ჩატარებისა და გადაწყვეტილების გამოტანის პროცედურები, დაზუსტდა საფასურის დაანგარიშების წესი, დაემატა იმ საპატენტო განაცხადების გამოქვეყნების ვალდებულება, რომელთა პრიორიტეტის თარიღიდან გასულია 18 თვე. ცვლილებები ასევე შეეხო დამატებითი დაცვის სერტიფიკატის გაცემის წესსაც.

2023 წელს განხორციელდა ევროპის საპატენტო ოფისსა (EPO) და საქპატენტს შორის გაფორმებული 2022-2024 წლების თანამშრომლობის გეგმით გათვალისწინებული აქტივობები, რომლებიც მიზნად ისახავდა ვალიდაციის შეთანხმების იმპლემენტაციას, საქართველოში საპატენტო სისტემის შემდგომ დახვეწასა და ევროპულ სტანდარტებთან დაახლოებას.

საქპატენტმა მონაწილეობა მიიღო მოსწავლე გამომგონებელთა და მკვლევართა კონკურსებში „ლეონარდო და ვინჩი“ (რუსთაველის ფონდი) და „ათასწლეულის ინოვაციის კონკურსი“ (ათასწლეულის ფონდი). ამასთან, ინოვაციური საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით, ჩატარდა 22 წინასწარი საპატენტო ძიება.

გამოგონებისა და ახალი ჯიშების დეპარტამენტის თანამშრომლებმა გაიარეს არაერთი ტრენინგი, მათ შორის, ევროპის საპატენტო ოფისის (EPO) მიერ ორგანიზებული ტრენინგები, რომელიც უკავშირდებოდა ხელოვნურ ინტელექტსა და კომპიუტერით რეალიზებად გამოგონებებს.

2023 წელს საქპატენტში წარმოდგენილია 230 გამოგონების განაცხადი, აქედან, საერთაშორისო პროცედურით 129 განაცხადი. საქპატენტმა, როგორც მიმღებმა უწყებამ, საპატენტო

კოოპერაციის ხელშეკრულების (PCT) ფარგლებში მიიღო 6 საერთაშორისო განაცხადი. 2023 წელს გაიცა 124 პატენტი.

რაც შეეხება სასარგებლო მოდელის განაცხადებს, 2023 წელს შემოვიდა 75 განაცხადი და გაიცა 17 რეგისტრაციის მოწმობა.

ახალი ჯიშები

გამოგონებისა და ახალი ჯიშების დეპარტამენტი უზრუნველყოფს მცენარეთა და ცხოველთა ახალი ჯიშების განაცხადების კანონმდებლობით დადგენილი წესით განხილვასა და შესაბამისი დოკუმენტების გაცემას.

ახალი ჯიშების დაცვა რეგულირდება საქართველოს კანონით „ცხოველთა და მცენარეთა ახალი ჯიშების შესახებ“, შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებითა და მცენარეთა ახალი ჯიშების დაცვის საერთაშორისო კონვენციით (UPOV-ის კონვენცია).

2023 წელს საქპატენტში სარეგისტრაციოდ წარმოდგენილია 14 განაცხადი, ამასთან, გაიცა 4 რეგისტრაციის მოწმობა.

სასაქონლო ნიშნები, დიზაინი, დეპონირება, საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებები და გეოგრაფიული აღნიშვნები

სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტი უზრუნველყოფს სასაქონლო ნიშნებზე, გეოგრაფიულ აღნიშვნებზე და დიზაინზე განსაკუთრებული უფლებების წარმოშობას. ამ მიზნით, ადგილობრივ და საერთაშორისო განაცხადებს კანონმდებლობით დადგენილი წესით უტარებს ექსპერტიზას და გასცემს შესაბამის დამცავ დოკუმენტებს და აწარმოებს რეესტრს. ასევე, ახორციელებს საავტორო და მომიჯნავე უფლებების ობიექტების დეპონირებას.

2023 წელს სასაქონლო ნიშნების მიმართულებით დამუშავდა 5207 განაცხადი, საიდანაც 2137 იყო ეროვნული, ხოლო 3070 – საერთაშორისო. დარეგისტრირდა 1464 სასაქონლო ნიშანი, ხოლო დაცვა გავრცელდა 2914 საერთაშორისო სასაქონლო ნიშანზე.

2023 წელს დამუშავდა ეროვნული და საერთაშორისო გეოგრაფიული აღნიშვნისა და ადგილწარმოშობის დასახელების რეგისტრაციის 12 განაცხადი, მათ შორის, 5 ლისაბონის შეთანხმების საფუძველზე. ამასთან, დაცვა მიენიჭა 4 საერთაშორისო ადგილწარმოშობის დასახელებას.

2023 წელს, საზღვარგარეთ ქართული გეოგრაფიული აღნიშვნებისა და ადგილწარმოშობის დასახელებების დაცვის მიზნით, გეოგრაფიული აღნიშვნების რეგისტრაციის მოქმედების ვადა გაგრძელდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში, ბელარუსის რესპუბლიკაში, რუსეთის ფედერაციაში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, ყირგიზეთის რესპუბლიკაში და აზერბაიჯანის რესპუბლიკაში.

2023 წელს დიზაინზე მიღებულია 235 განაცხადი, მათ შორის იყო 67 ეროვნული, ხოლო 168 საერთაშორისო განაცხადი. დარეგისტრირდა 33 განაცხადით წარმოდგენილი დიზაინები, ხოლო საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელდა 131 საერთაშორისო რეგისტრაციის მოქმედება.

2023 წელს დამუშავდა 368 საავტორო და მომიჯნავე უფლებით დაცული ნაწარმოებების დეპონირების განცხადება. გაიცა 262 დეპონირების დამადასტურებელი მოწმობა.

სამართალწარმოება და კანონშემოქმედებითი საქმიანობა

საქპატენტის ერთ-ერთი მთავარი სტრატეგიული მიმართულება ინტელექტუალური საკუთრების სამართლის სფეროში არსებული გამოწვევების შესწავლა, მათზე რეაგირება ეროვნული კანონმდებლობის სრულყოფის გზით და ისეთი საკანონმდებლო ბაზის შექმნაა, რომელიც სრულად უზრუნველყოფს ევროპულ და საერთაშორისო კანონმდებლობასთან შემდგომ დაახლოებას.

საანგარიშო წელს, ევროკავშირისა და სხვა საერთაშორისო საკანონმდებლო და პრაქტიკული გამოცდილების გათვალისწინებით, მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა შემდეგ საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებში:

- 2023 წლის 16 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო საქართველოს კანონი „საქართველოს საპატენტო კანონში“ ცვლილების შეტანის შესახებ, რომლის შედეგად, ერთი მხრივ, საქართველოს მთავრობასა და ევროპის საპატენტო ორგანიზაციას შორის გაფორმებული ევროპული პატენტების ვალიდაციის შესახებ შეთანხმებით გათვალისწინებული დებულებები აისახა კანონში და, მეორე მხრივ, საქართველოს საპატენტო კანონი შესაბამისობაში მოვიდა ევროპის საპატენტო კონვენციასთან (EPC), საპატენტო სამართლის შესახებ საერთაშორისო შეთანხმებასთან (PLT) და ევროკავშირის ქვეყნების კანონმდებლობასთან. ამასთან, ცვლილების საფუძველზე, დასრულდა საქართველოს კანონმდებლობის „ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებით“ (DCFTA) ნაკისრი ვალდებულების, ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების პირველი ეტაპი.
- 2023 წლის 21 სექტემბერს საქართველოს პარლამენტმა მიიღო საქართველოს კანონი „საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის შესახებ“, რამაც ხელი შეუწყო საქართველოში ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის სისტემის განვითარებას.
- 2023 წლის 3 ივლისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო საქართველოს კანონი „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე. აღნიშნული ცვლილებებით განხორციელდა საავტორო და მომიჯნავე უფლებების სფეროში მასშტაბური რეფორმა. რეფორმის ფარგლებში, ევროპარლამენტისა და ევროპის საბჭოს შესაბამისი დირექტივების გათვალისწინებით, თვისობრივად გადაიხედა და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად დარეგულირდა ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მართვის საკითხები.
- 2023 წელს გამოცხადდა აკრედიტაციის კონკურსი, რომლის შედეგადაც ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციის აკრედიტაციის კომისიამ გამოავლინა გამარჯვებული ორგანიზაცია.

- 2023 წლის 15 დეკემბერს „უსინათლო, მხედველობა შეზღუდული და ბეჭდვითი ინფორმაციის აღქმის შესაძლებლობის სხვა დარღვევების მქონე პირთათვის გამოქვეყნებულ ნაწარმოებებთან ხელმისაწვდომობის გაადვილების შესახებ“ მარაკეშის ხელშეკრულების იმპლემენტაციის მიზნით, საქართველოს პარლამენტმა მიიღო საქართველოს კანონი „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ.
- „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის იმპლემენტაციისა და პრაქტიკაში დანერგვისთვის საქპატენტმა მიიღო 3 ახალი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი. აგრეთვე, მომზადდა და ხელი მოეწერა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს.

აგრეთვე, მომზადდა და ხელი მოეწერა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს.

2023 წელს საქპატენტთან არსებულ სააპელაციო პალატას წარედგინა ინტელექტუალური საკუთრების ობიექტებზე საქპატენტის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებთან, ასევე მათი დაცვის კრიტერიუმებთან, პატენტის გაცემასთან და სამრეწველო საკუთრების სხვა ობიექტების რეგისტრაციასთან დაკავშირებული 114 სააპელაციო საჩივარი.

სასამართლო დავებზე საქპატენტის წარმომადგენლობა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა. 2023 წელს საქპატენტში შემოსულია 32 სარჩელი და კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადაში წარდგენილია შესაგებ

მომხმარებელზე ორიენტირებული მომსახურება

საქპატენტის პრიორიტეტია მომხმარებელზე ორიენტირებული მომსახურება, სერვისების მაქსიმალური გაციფრულება, სახელმწიფო სერვისების განვითარების სტრატეგიით განსაზღვრული სტანდარტების დანერგვა და მათი ეფექტიანი განხორციელება.

საქპატენტი უზრუნველყოფს განმცხადებლებისთვის კონსულტაციების გაწევას როგორც ადგილზე, საკონსულტაციო სივრცეში, ისე სატელეფონო და ონლაინ კომუნიკაციის მეშვეობით. სერვისების განვითარებისა და მოქალაქეთა მომსახურების სამმართველო უზრუნველყოფს ინტელექტუალური საკუთრების ობიექტებთან დაკავშირებით ეროვნული და საერთაშორისო პროცედურებით შემოსული განაცხადებისა და თანდართული მასალების მიღებას, დამუშავებას, საქმისწარმოების ელექტრონულ სისტემაში რეგისტრაციასა და შესაბამისი დამცავი დოკუმენტების გაცემას.

საერთაშორისო თანამშრომლობა

2023 წელს, საერთაშორისო თანამშრომლობის ფარგლებში, გაგრძელდა სტრატეგიული ამოცანების განსაზღვრასა და განხორციელებაზე ორიენტირებული აქტიური და კოორდინირებული მუშაობა სხვადასხვა დონორ და პარტნიორ ორგანიზაციასთან. აღნიშნული თანამშრომლობა მნიშვნელოვან როლს ასრულებს საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების სისტემის განვითარებაში, საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებასა და სფეროში თანამედროვე მიდგომების დანერგვაში.

გეოგრაფიული აღნიშვნების მსოფლიო სიმპოზიუმი

საანგარიშო წელს მნიშვნელოვანი მოვლენა იყო გეოგრაფიული აღნიშვნების მსოფლიო სიმპოზიუმი, რომელიც ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის (WIPO) გადაწყვეტილებით, საქართველოში 2023 წლის 14 და 15 ივნისს გაიმართა. ღონისძიებას, რომელიც 2 წელიწადში ერთხელ იმართება, WIPO-სთან ერთად ორგანიზება გაუწია საქპატენტმა. ორი დღის განმავლობაში, მსოფლიო სიმპოზიუმის ფარგლებში, 62 ქვეყნის 300-მდე წარმომადგენელმა და დისტანციურად 1000-მდე მონაწილემ განიხილა გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვის საერთაშორისო და ეროვნული სისტემების წინაშე მდგარი ამოცანები, მათი გადაჭრის გზები და მიზნები.

ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის (WIPO) გენერალური ასამბლეის 64-ე სესია

განსაკუთრებული მნიშვნელობის იყო WIPO-ს გენერალური ასამბლეის 64-ე სესია, რომელსაც საქართველოს დელეგაცია ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის თავმჯდომარის სოსო გიორგაძის ხელმძღვანელობით დაესწრო. თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით, გამართა ორმხრივი შეხვედრები WIPO-ს გენერალურ დირექტორ დარენ ტანგთან, ევროპის საპატენტო უწყების პრეზიდენტ ანტონიო კამპინოსთან, სასაქონლო ნიშნების საერთაშორისო ასოციაციის (INTA) პრეზიდენტ ჟომარი ფრედერიკსთან და აღმასრულებელ დირექტორ ეტიენ სანს დე აჩედოსთან, გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვის საერთაშორისო ალიანსის (oriGIn) მმართველ დირექტორ მასიმო ვიტორთან, თურქეთის საპატენტო და სასაქონლო ნიშნების ოფისის (TURKPATENT) პრეზიდენტ ჯემილ ბაშპინართან და ყაზახეთის რესპუბლიკის ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ინსტიტუტის დირექტორ იერბოლ ოსპანოვთან.

ქართულ-ამერიკული თანამშრომლობა

ინტელექტუალური საკუთრების სფეროში ქართულ-ამერიკული პარტნიორობის განსაკუთრებულ გამოხატულებას წარმოადგენს საქპატენტის და ამერიკის შეერთებული შტატების სავაჭრო დეპარტამენტის კომერციული სამართლის განვითარების პროგრამის (CLDP) ერთობლივი ღონისძიებები. 2023 წლის 24-30 ივლისს პროგრამის ფარგლებში ჩატარდა შემდეგი ღონისძიებები:

- საერთაშორისო კონფერენცია „საქართველო კონტრაფაქციისა და მეკობრეობის წინააღმდეგ“;
- ტრანს-კასპიის ინტელექტუალური საკუთრების ფორუმი;
- სამუშაო შეხვედრა ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დარღვევებთან დაკავშირებული სამოქალაქო საქმეების სასამართლო პრაქტიკის შესახებ.

შეხვედრებში, საქპატენტთან ერთად, მონაწილეობდნენ: სომხეთის, მოლდოვას, ყირგიზეთის, თურქმენეთის, ყაზახეთის, უზბეკეთის, ტაჯიკეთის, უნგრეთის, ესტონეთის, სერბეთის, რუმინეთის და აზერბაიჯანის საპატენტო უწყების წარმომადგენლები, ასევე, საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეები, ქართველი და უცხოელი პატენტრწმუნებულები, ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის (WIPO), აშშ-ს საპატენტო და სასაქონლო ნიშნების უწყების (USPTO), აშშ-ს იუსტიციის დეპარტამენტის, ევროკავშირის ინტელექტუალური საკუთრების უწყების (EUIPO), ევროპის ინტელექტუალური საკუთრების სფეროს დანაშაულთან ბრძოლის კოორდინირებული კოალიციის (IPC3), მუსიკის გამომცემელთა საერთაშორისო კონფედერაციის (ICMP), ალიანსი კონტრაფაქციული სპირტიანი სასმელების წინააღმდეგ (AACS) და სხვა საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები.

საქპატენტისა და შვეიცარიის ინტელექტუალური საკუთრების უწყების ერთობლივი პროექტი (GESIP)

საქპატენტისა და შვეიცარიის ინტელექტუალური საკუთრების უწყების ერთობლივი პროექტის (GESIP) ფარგლებში, საქპატენტის მცხეთის სათაო ოფისში, გამოგონებისა და ახალი ჯიშების დეპარტამენტის ექსპერტებისთვის 2023 წლის 14-16 ნოემბერს სამდღიანი ტრენინგი ჩატარდა. ტრენინგების მთავარი თემა იყო საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სფეროში მოქმედების თავისუფლების (FTO) ძიება.

ადამიანური რესურსების განვითარება და გენდერული თანასწორობა

საქპატენტი აერთიანებს 100-ზე მეტ მაღალკვალიფიციურ თანამშრომელს, რომელთა პროფესიონალიზმი და მოტივაცია ქვეყნის ინტელექტუალური საკუთრების სისტემის განვითარებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. უწყება სისტემატურად ახორციელებს პერსონალის სწავლებასა და კვალიფიკაციის ასამაღლებელ პროგრამებს, რათა თანამშრომლებს მუდმივად ჰქონდეთ შესაძლებლობა გაიღრმაონ პროფესიული ცოდნა, განავითარონ უნარები და ადეკვატურად უპასუხონ დარგში არსებულ გამოწვევებს.

კომპეტენტური და მოტივირებული ადამიანური რესურსის შენარჩუნებასთან ერთად, საქპატენტისთვის პრიორიტეტულია ახალი თაობის პროფესიონალების მოზიდვა და მათი მხარდაჭერა. აღსანიშნავია, რომ კვალიფიციური კადრების მოზიდვის, მათი პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებისა და, ასევე საიმედო საკადრო რეზერვის შესაქმნელად, 2023 წელს საქპატენტმა პირველად განახორციელა ანაზღაურებადი სტაჟირების პროგრამა. პროგრამის შედეგად, 2023 წლის 1-ლი მარტიდან საქპატენტის გუნდს შემოუერთდა 6 ახალგაზრდა სტაჟიორი: 4 მათგანი გამოგონებისა და ახალი ჯიშების დეპარტამენტში, ქიმია-მედიცინისა და ბიოლოგიის მიმართულებით, ხოლო 2 – ამავე დეპარტამენტში, მექანიკისა და ფიზიკის მიმართულებით.

სტაჟირების ფარგლებში მათ გაიარეს ინტენსიური სასწავლო და პრაქტიკული კურსები, რის შედეგადაც არა მხოლოდ გაიღრმავეს თეორიული ცოდნა, არამედ შეიძინეს პრაქტიკული გამოცდილება რეალურ სამუშაო გარემოში. ვინაიდან უწყებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დარგის ახალგაზრდა კადრების შენარჩუნება, სტაჟირების დასრულების შემდეგ, 4 მათგანთან გაგრძელდა შრომითი ურთიერთობა და ისინი საქპატენტის თანამშრომლები გახდნენ.

საქპატენტისთვის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა როგორც ადამიანური რესურსების მართვაში, ისე ორგანიზაციული კულტურის ფორმირების პროცესში. დაწესებულება უზრუნველყოფს თანაბარ შესაძლებლობებს ქალებისა და მამაკაცებისთვის კარიერულ განვითარებაში, სწავლისა და გადამზადების პროგრამებში ჩართვაში, გადაწყვეტილების მიღების პროცესებში მონაწილეობასა და ხელმძღვანელ პოზიციებზე დაწინაურებაში.

გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის პროცესის ნაწილად დაწესებულებაში ხორციელდება გენდერულად სეგრეგირებული მონაცემების შეგროვება და ანალიზი, რომლის მაჩვენებლები ორგანიზაციაში გენდერული ბალანსისა და თანასწორობის თვალსაჩინო მაგალითია. უწყებაში ქალთა ჩართულობის მაჩვენებელი მაღალია როგორც სპეციალისტთა, ისე მენეჯერულ დონეზე.

2023 წლის სტატისტიკა (დასაქმებულთა შესახებ, მათ შორის, გენდერულ ჭრილში)						
2023 წელი	დასაქმებულთა რაოდენობა	ქალი	კაცი	მენეჯერი	ქალი	კაცი
I კვარტალი	125	85	40	31	17	14
II კვარტალი	127	84	43	22	11	11
III კვარტალი	123	83	40	19	10	9
IV კვარტალი	123	84	39	21	12	9

ინტელექტუალური საკუთრების სწავლებისა და გადამზადების ცენტრი

საგანმანათლებლო საქმიანობა

საგანმანათლებლო აქტივობები საქპატენტის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა, რომელიც უზრუნველყოფს არა მხოლოდ კვალიფიციური სპეციალისტების გადამზადებას, არამედ დარგის შესახებ ფართო საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი ფორმით საგანმანათლებლო-პოლიგრაფიული რესურსების შექმნასა და ცოდნის გავრცელებას.

ინტელექტუალური საკუთრების სფეროში ცოდნისა და ინფორმაციის გავრცელებას უზრუნველყოფს საქპატენტის ინტელექტუალური საკუთრების სწავლებისა და გადამზადების ცენტრი, რომლის მანდატი 2023 წლიდან აერთიანებს ცოდნისა და ინფორმაციის გავრცელებასთან დაკავშირებულ მიმართულებებს – სწავლებას, საგამომცემლო-პოლიგრაფიულ საქმიანობასა და საბიბლიოთეკო მომსახურებას.

საანგარიშო პერიოდში ცენტრის მიერ დაიგეგმა და განხორციელდა 19 სასწავლო აქტივობა (ტრენინგი, ლექცია, სემინარი, ვებინარი, დისტანციური სწავლების კურსი და სხვ.), რომელსაც დაესწრო ჯამში 603 მონაწილე. ესენია:

- გეოგრაფიული აღნიშვნების შესახებ საერთაშორისო სპეციალიზებული 2-კვირიანი ტრენინგკურსი, WIPO-ს აკადემიის პროფესიული განვითარების პროგრამის (PDP) ფარგლებში;
- ინტელექტუალური საკუთრების სამართლის შესახებ საქპატენტისა და ევროპის იურისტ სტუდენტთა ასოციაციის (ELSA) ერთობლივი ყოველწლიური საერთაშორისო საზაფხულო სკოლა;
- დისტანციური სწავლების ინტელექტუალური საკუთრების ზოგადი კურსი – DL101GE WIPO-ს აკადემიასთან თანამშრომლობით;
- ტრენინგკურსი ინტელექტუალური საკუთრების შესახებ სტუ-ს სტუდენტებისთვის;
- ვებინარი „ინტელექტუალური საკუთრება – იდეიდან ინოვაციამდე“ ათასწლეულის ინოვაციის კონკურსის ფინალისტებისთვის;
- ტრენინგი გეოგრაფიული აღნიშვნების შესახებ „მუხურის თაფლის“ მწარმოებელი მეფუტკრეებისთვის.

საქპატენტის თანამშრომელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მიზნით, ჩატარდა სხვადასხვა თემატიკის სასწავლო აქტივობები:

- EUGIPP-ის ფარგლებში, სასაქონლო ნიშნებისა და დიზაინის მიმართულებით ევროკავშირის საუკეთესო პრაქტიკისა და EUIPO-ს სააპელაციო პალატის გადაწყვეტილებების წერის მეთოდოლოგიის გაცნობა;

- გატარებული საკანონმდებლო რეფორმებიდან გამომდინარე სიახლეების გაცნობის მიზნით, ჩატარდა ტრენინგები: საქართველოს საპატენტო კანონში შესული ცვლილებების მიმოხილვა; საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ საქართველოს კანონში შესული ცვლილებების მიმოხილვა; PCT საერთაშორისო განაცხადის წარდგენა მიმღები უწყების როლში (ePCT); დიზაინზე საერთაშორისო განაცხადის წარდგენა (eHague);
- ტრენინგი სახელმწიფო ენის დეპარტამენტის მიერ შემუშავებული სხვადასხვა ენის ქართულ ენაზე ტრანსკრიფცია-ტრანსლიტერაციის წესისა და სალიტერატურო ენის განახლებული ნორმების შესახებ;
- ტრენინგი „საქმისწარმოება და დოკუმენტების შემფასებელი ექსპერტიზა (საარქივო საქმე)“.

საანგარიშო წელს ქართულ ენაზე ითარგმნა WIPO-ს აკადემიის სპეციალიზებული დისტანციური კურსის „ინტელექტუალური საკუთრების სამართალი“ სასწავლო მასალა მოსამართლეებისთვის და დაიწყო ტრენერების გადამზადების პროცესი.

WIPO-ს აკადემიის ინტელექტუალური საკუთრების ტრენინგ ინსტიტუტების (IPTI) პროექტის ფარგლებში, შემუშავდა და საპილოტე ჯგუფთან გამოიცადა თვითმართული ონლაინ კურსი სასაქონლო ნიშნების შესახებ მცირე და საშუალო საწარმოებისთვის (SMEs).

საანგარიშო პერიოდში განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს საქართველოში ინტელექტუალური საკუთრების სამაგისტრო პროგრამის დანერგვის მიზნით მიმდინარე მოლაპარაკებებში მიღწეული პროგრესი, კერძოდ, საქპატენტის კოორდინაციით WIPO-ს აკადემიასა და ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტს შორის შეთანხმდა სამაგისტრო პროგრამის სახელწოდება და საერთაშორისო ექსპერტების კანდიდატურები, ასევე, განისაზღვრა სამმხრივი ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ხელმოწერის პროცედურა და ვადები.

საგამომცემლო და პოლიგრაფიული საქმიანობა

საქპატენტის საგამომცემლო საქმიანობა მოიცავს, ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების დაცვასთან დაკავშირებული ინფორმაციის გამოქვეყნების მიზნით, WIPO-ს სტანდარტებით სამრეწველო საკუთრების ოფიციალური ბიულეტენებისა და საინფორმაციო-შემეცნებითი ხასიათის წიგნების, ჟურნალების, ბროშურებისა და სხვა პუბლიკაციების გამოცემასა და ბეჭდვას.

საანგარიშო პერიოდში მომზადდა და გამოიცა:

- სამრეწველო საკუთრების 24 ქართულენოვანი ოფიციალური ბიულეტენი;
- ითარგმნა და გამოიცა ოფიციალური ბიულეტენის ინგლისურენოვანი ვერსიის 24 ნომერი;
- ოფიციალური ბიულეტენის სპეციალური გამოშვების 1 ნომერი (№18);
- მომზადდა და გამოიცა მცენარეთა და ცხოველთა ახალი ჯიშების დაცვის ბიულეტენის 4 ნომერი.

საგამომცემლო მიმართულება მოიცავს, ასევე, საპატენტო ინფორმაციის მომზადებას ენობრივი და სტილისტური სტანდარტით. გასულ 2023 წელს პატენტებთან ერთად გასაცემად

მომზადდა 189 გამოგონებისა და სასარგებლო მოდელის აღწერილობა, რამაც შეადგინა 247 ნაბეჭდი ეგზემპლარი. გარდა ამისა, საერთაშორისო საპატენტო ბაზებში განსათავსებლად ინგლისურ და რუსულ ენებზე ითარგმნა ადგილობრივი და საერთაშორისო განაცხადის გამოგონებისა და სასარგებლო მოდელის 202 პატენტის რეფერატი.

საგამომცემლო-სარედაქტორო სამუშაოების მიმართულებით საანგარიშო წელს მომზადდა 2230 გვერდზე მეტი სხვადასხვა დანიშნულების მასალა. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია:

- ჟურნალი „საქართველოს ადგილწარმოშობის დასახელებები და გეოგრაფიული აღნიშვნები“;
- განახლებული საინფორმაციო-პოპულარული ბროშურა „გამოგონება და სასარგებლო მოდელი“;
- მოსამართლეებისთვის ინტელექტუალური საკუთრების სამართლის შესახებ WIPO-ს აკადემიის სპეციალიზებული დისტანციური კურსის ქართულენოვანი მასალის რედაქტირება და კორექტირება.

საანგარიშო წელს საქპატენტის პოლიგრაფიაში დაიბეჭდა სამრეწველო საკუთრების ოფიციალური ბიულეტენის (ქართული და ინგლისური ვერსიები) 144 ეგზემპლარი და მცენარეთა და ცხოველთა ახალი ჯიშების ორენოვანი ბიულეტენის 21 ეგზემპლარი. გამოიცა ევროკავშირის სასამართლო გადაწყვეტილებების კრებულები (სულ 400 ეგზ.); ასევე, საინფორმაციო ბროშურები, ბუკლეტები და გეოგრაფიული აღნიშვნების ე.წ. რუკები და პასპორტები (სულ 869 ეგზ.); გამრავლდა შიდასაუწყებო მოხმარების პოლიგრაფიული პროდუქცია, კერძოდ: ღონისძიებების საორგანიზაციო მასალები (ბლოკნოტები, დღის წესრიგები, ბეიჯები, ნეიმ თეგები, შეფასების კითხვარები და სხვ.), დამცავი დოკუმენტების ბლანკები, საქაღალდეები, კონვერტები, სავიზიტო ბარათები და სხვა (სულ 14 778 ერთეული). წლის ბოლოს გამოიცა 120 ცალი საუწყებო კედლის კალენდარი „გეოგრაფიული აღნიშვნები“.

ფინანსური მაჩვენებლები

საქპატენტის დაფინანსება ხორციელდება ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების დაპატენტებასთან, რეგისტრაციასა და დეპონირებასთან დაკავშირებული მომსახურების საფასურიდან მიღებული შემოსავლით, რითაც უწყება უზრუნველყოფს ყველა ხარჯის (საოპერაციო და არასაოპერაციო) დაფინანსებას.

2023 წელს საქპატენტის მიერ გასაწევი ხარჯები დაგეგმილი იყო 10 074.4 ათასი ლარის სიდიდით. ფაქტობრივად გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 7 624.1 ათასი ლარი, დაგეგმილზე 2 450.3 ათასი ლარით ნაკლები.

საქპატენტის შემოსავალი დაგეგმილი იყო 11 000 ათასი ლარის სიდიდით. ფაქტობრივად მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 13 751.7 ათასი ლარი, დაგეგმილზე 2 751.7 ათასი ლარით მეტი.

–



საზოგადოებასთან ურთიერთობა

ინტელექტუალური საკუთრების სფეროს განვითარება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული საზოგადოების ეფექტიან ინფორმირებაზე, რაც ხელს უწყობს დარგის მიმართ ინტერესის გაღვივებასა და მის პოპულარიზაციას. საქპატენტისთვის 2023 წელი რეფორმებითა და ახალი ინიციატივებით გამოირჩეოდა, რის საფუძველზეც საზოგადოებასთან ურთიერთობის პრიორიტეტად განისაზღვრა პროცესების გამჭვირვალობა და ინფორმაციის ფართო ხელმისაწვდომობა.

მასმედიისა და სოციალური ქსელების მეშვეობით აქტიურად გაშუქდა ისეთი მნიშვნელოვანი ცვლილებები, როგორებიცაა: ევროპული პატენტების საქართველოში ვალიდაცია, პატენტრწმუნებულთა ინსტიტუტის რეფორმა და საავტორო უფლებების სფეროში განხორციელებული რეფორმა, მათ შორის, ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციის კონკურსის ეტაპები.

საგანმანათლებლო პროექტების მხარდაჭერის მიზნით, 2023 წელს საქპატენტი აქტიურად თანამშრომლობდა ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციასთან (WIPO), აშშ-ის სავაჭრო დეპარტამენტის Commercial Law Development Program-თან (CLDP), ასევე, ევროპის იურისტ სტუდენტთა ასოციაციასთან და სხვა პარტნიორებთან. WIPO-ს აკადემიის ონლაინ კურსზე (DL101GE) ინტერესმა მნიშვნელოვნად მოიმატა – ერთ კვირაში 190-ზე მეტი მსურველი დარეგისტრირდა (შედარებისთვის, წინა სესიაზე ერთ თვეში –162).

საქპატენტი ჩართული იყო კულტურულ-საინფორმაციო პროექტებში („ლეონარდო და ვინჩი“, „ჭაჭა“, გურჯაანის ღვინის ფესტივალი). მნიშვნელოვანი მოვლენა იყო თბილისში გამართული გეოგრაფიული აღნიშვნების მსოფლიო სიმპოზიუმი, რომელიც განხორციელდა WIPO-სთან აქტიური თანამშრომლობით. ამ მასშტაბურ ღონისძიებას დაესწრო 62 ქვეყნის 300-მდე წარმომადგენელი, ხოლო ონლაინ – 900-მდე დელეგატი.

დაიწყო საინფორმაციო კამპანია საქართველოს გეოგრაფიული აღნიშვნებისა და ადგილწარმოშობის დასახელებების პოპულარიზაციის მიზნით, რომელიც ფართოდ გაშუქდა მედიასა და სოციალურ ქსელებში.

ტელეკომპანია „იმედთან“ თანამშრომლობით, ეთერით გადაიცა სიუჟეტების ციკლი პოტენციური გეოგრაფიული აღნიშვნების შესახებ, კერძოდ, გადაცემაში „იმედის დღე“ 2023 წელს გავიდა სიუჟეტები „სვანური მარილის“, „საზანოს ყველისა“ და „გურიის ჩხავერის“ შესახებ.

საზოგადოებასთან ურთიერთობის მიმართულებით საქპატენტი აქტიურად იყენებს სოციალურ მედიას. 2023 წლის დასასრულს სოცქსელებით აქტივობის შედეგი ასეთია:


აუდიტორია - 494,147
უნიკალური
მომხმარებელი
გამომწერები· 16.7
ათასი გამომწერი